



პროტოკოლი N6 ტუბერკულოზით დაავადებული პაციენტის კონსულტირება

მიზანი: ანტიტუბერკულოზურ მკურნალობაზე პაციენტის დამ ყოლობის გაუმჯობესება

სამიზნე ჯგუფი: ტუბერკულოზით დაავადებული ყველა პაციენტი

ვისთვის არის პროტოკოლი განკუთვნილი: პროტოკოლი განკუთვნილია ამბულატორიული და ჰოსპიტალური სექტორის პრაქტიკოსი ექთნებისთვის

სამედიცინო დაწესებულებაში პროტოკოლის გამოყენების პირობები: პროტოკოლი გამოიყენება ყველა პაციენტის მიმართ, რომლებიც დაავადებულები არიან ტუბერკულოზით

რეკომენდაცია:

- სიფრთხილით გააცანით პაციენტს საკუთარი დიაგნოზი
- პაციენტს ყოველთვის ესაუბრეთ მისთვის გასაგებ ენაზე
- ადექვატური კომუნიკაციის დასამყარებლად აუცილებლად დაჯექით მის წინ, ისე რომ უყურებდეთ თვალებში
- ვიზიტის განმავლობაში გამოიჩინეთ გულისხმიერება, ისაუბრეთ პაციენტისთვის გასაგებ ენაზე, წახალისეთ დაგისვით კითხვები
- ეცადეთ აგრძნობინოთ მხარდაჭერა, მისი დახმარების მზაობა
- ურჩიეთ პაციენტს დაანებოს თავი მოწვევას, თუ ის მწეველია და არ დაიწყოს თუ არ ეწევა, თავი აარიდოს ნარკოტიკული საშუალებების და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებას, მოაწესრიგოს კვებითი სტატუსი
- აუცილებელია დაიგეგმოს ისეთი დაავადებების პრევენცია, როგორცაა აივ/შიდსი, შაქრიანი დიაბეტი და სხვა დაავადებები, რომლებიც გავლენას ახდენენ პაციენტის იმუნურ სისტემაზე
- თუ პაციენტი სხვა პრობლემის გამო მოხვდა ჰოსპიტალში, აუცილებლად უნდა გააგრძელოს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობა

ჰკითხეთ პაციენტს რა იცის და შემდეგ მიაწოდეთ შესაბამისი ინფორმაცია

რა არის ტუბერკულოზი? როგორ ფიქრობთ რა არის თქვენი დაავადების მიზეზი?

ტუბერკულოზი არის აირწვეთოვანი ინფექცია, რომელიც ძირითადად აზიანებს ფილტვებს და არასათანადო მკურნალობის პირობებში იწვევს პაციენტის გარდაცვალებას

ოდესმე იცნობდით ვინმეს, ვისაც ჰქონდა ტუბერკულოზი? რა დაემართა იმ პიროვნებას? იცით თუ არა, რომ ტუბერკულოზი იკურნება?

ტუბერკულოზი განკურნებადია, მისი მკურნალობის ხანგრძლივობა საშუალოდ 6-8 თვეა. პაციენტმა აუცილებლად უნდა ჩაიტაროს მკურნალობის უწყვეტი კურსი. პაციენტების 50%, რომლებიც არ მკურნალობენ, იღუპებიან მომდევნო 5 წლის განმავლობაში მკურნალობა შესაძლებელია პაციენტისთვის ჩვეული საქმიანობის შეწყვეტის გარეშე

იცით როგორ ვრცელდება ტუბერკულოზი?

ტუბერკულოზი აირწვეთოვანი ინფექციაა და როდესაც დაავადებული პაციენტი ახველებს ან აცემინებს, ტუბერკულოზის მიკობაქტერიები ხვდებიან ჰაერში, რომელსაც შემდეგ სხვა ადამიანი ჩაისუნთქავს და დაინფიცირდება. ამიტომ, ძალიან ადვილია ტუბერკულოზის გადაცემა ოჯახის წევრებზე, თუ ისინი ერთად ცხოვრობენ. მაგრამ, ყველა ინფიცირებული არ ავადდება ტუბერკულოზით

როგორ შეგიძლიათ აიცილოთ თავიდან ტუბერკულოზის გავრცელება?

მუდმივად მიიღეთ მედიკამენტები.
ხველის და/ან ცემინების დროს დაიფარეთ ცხვირ-პირი
ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი

რომელია ტუბერკულოზისთვის დამახასიათებელი სიმპტომები?

2 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ხველა, ჰემოპტოზი (სისხლიანი ნახველი), დამის ოფლიანობა, სხეულის ტემპერატურის მომატება და წონის დაკლება
ბავშვების ტუბერკულოზით ინფიცირებაზე ეჭვი უნდა მიიტანოთ, თუ ხველა გრძელდება 2 კვირაზე მეტხანს, სხეულის მომატებული ტემპერატურა > 14 დღეზე, აღინიშნება წონაში კლება ან ჩამორჩენა ასაკთან მიმართებაში

რამდენი ადამიანი ცხოვრობს თქვენთან ერთად და რომელი ასაკის? თქვენი ოჯახის წევრებიდან კიდევ რომელიმე ახველებს? თუ ახველებს, ვინ?

5 წლამდე ასაკის ბავშვები აუცილებლად უნდა შემოწმდნენ ტუბერკულოზზე, მოზარდებს, შესაძლებელია, დაჭირდეთ პრევენციული თერაპია
ოჯახის სხვა წევრები აუცილებლად უნდა შემოწმდნენ ტუბერკულოზზე, თუ ისინი ახველებენ

თუ სახლში ცხოვრობენ მცირეწლოვანი ბავშვები

0-4 წლის და დაქვეითებული იმუნური სისტემის მქონე ბავშვები უფრო ხშირად ავადდებიან ტუბერკულოზის მძიმე ფორმით, ვიდრე იმავე სახლში მცხოვრები ზრდასრულები
ტუბერკულოზის დიაგნოსტიკა ბავშვებში უფრო ძნელია და ბავშვების მკურნალობის შედეგი ისეთი არ არის, როგორც დიდებში. ბავშვების მკურნალობაში აუცილებლად ჩართულია პედიატრი, მედიკამენტებს პაციენტს ამღვეს დედა ან სხვა ოჯახის წევრი, რომელიც გაივლის მოკლე ტრენინგს. მის მედიკამენტებით მომარაგებას უზრუნველყოფს ჯანდაცვის მუშაკი

იცით ტუბერკულოზი რატომ არის საშიში აივ-ინფექციის მქონე პაციენტებისთვის?

აივ - ინფიცირებულები უფრო ხშირად ავადდებიან ტუბერკულოზით, რადგან მათი იმუნური სისტემა ვერ უზრუნველყოფს ადექვატური წინააღმდეგობის გაწევას. მკურნალობის შემთხვევაშიც კი ლეტალური გამოსავალი უფრო მაღალია, ვიდრე აივ - ინფექციის გარეშე
ამიტომ, ტუბერკულოზით დაავადებული/ინფიცირებული პაციენტების გამოკვლევა აივ ინფექციაზე აუცილებელია. აივ - ინფექცია ცვლის მკურნალობის სქემას: თუ დადებითია, პაციენტი საჭიროებს ანტირეტროვირუსულ მკურნალობას, თუ უარყოფითია - საჭიროა პრევენციული თერაპია. ტუბერკულოზის მქონე პაციენტის აივ სტატუსი ასევე მნიშვნელოვანია დაავადების პროგნოზის, მკურნალობის გვერდითი მოვლენების და სხვა ასოცირებული დაავადების გასათვალისწინებლად

რომელი ფაქტორები ზრდიან ტუბერკულოზით დაავადების რისკს? როგორ ფიქრონთ ადამიანს შეუძლია ამ რისკების შემცირება?

დიაბეტი, ცუდი ნაკვებობის სტატუსი (მალნუტრიცია), ალკოჰოლის ჭარბად გამოყენება და იმუნური სისტემის დაქვეითება (იავ ინფექცია, ავთვისებიანი სიმსივნის ქიმიოთერაპიული მკურნალობა სტეროიდებთან კომბინაციაში) ზრდის ტუბერკულოზით დაავადების რისკს.

მოწევა, ასევე, ზრდის ტუბერკულოზით დაავადების რისკს და მკურნალობის პროცესში ამცირებს დადებითი გამოსავლის ალბათობას.

ადამიანებს შეუძლიათ შეამცირონ ტუბერკულოზით დაავადების რისკი, თუ ისინი შეამცირობენ მათ ორგანიზმზე ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გავლენას

განუმარტეთ უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობის დადებითი მხარეები

სამედიცინო პერსონალი უნდა ესწრებოდეს პაციენტის მიერ წამლის მიღებას. ეს სასურველია, რათა გაკონტროლდეს მედიკამენტის დანიშნულ დროს, საჭირო რაოდენობით და უწყვეტად მიღება. თუ ინექცია საჭიროა, ის გაკეთდება კვალიფიციურად. პაციენტთან მუდმივი კონტაქტი საშუალებას იძლევა, დროულად ამოიციონ მედიკამენტის გვერდითი ეფექტი

თუ თქვენ არ იღებთ ყველა მედიკამენტს, მაშინ თქვენს მიერ ტუბერკულოზი ისევ ვრცელდება, და ამით საფრთხეს უქმნით ყველას, ვინც თქვენს გარშემოა. გარდა ამისა, თქვენ არ გამოჯანმრთელდებით. მკურნალობის შეწყვეტა და/ან არაადეკვატურად ჩატარება საშიშია, რადგან ის შეიძლება გახდეს უკურნებელი. უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ მკურნალობის დროს სამედიცინო პერსონალი სწრაფად აღმოფხვრის ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს.

თუ თქვენ აპირებთ მოგზაურობას, მაშინ სამედიცინო პერსონალი უზრუნველყოფს თქვენი მკურნალობის უწყვეტობას.

განუმარტეთ პაციენტს მკურნალობის დეტალები

აუხსენით:

- მკურნალობის ხანგრძლივობა
- მკურნალობის მისაღებად კონსულტაციაზე ვიზიტის სიხშირე
- სად უნდა მივიდეს მკურნალობის ჩასატარებლად

თუ პაციენტისთვის განკუთვნილია პირადი ყუთი წამლებისთვის, სამედიცინო პერსონალი გარეთ არ გადის მედიკამენტების მოსატანად

აუხსენით რას უნდა ელოდოს და როგორ მოიქცეს

(თუ პაციენტი იღებს რიფამპინს) შარდი შეიძლება გახდეს ნარინჯისფერი ან წითელი. ეს მოსალოდნელია და არ არის ზიანის მომტანი. თუ წამლის მიღების შემდეგ პაციენტი გრძნობს გულისრევას, თან მოიტანოს საკვები და მიირთვას მორიგი დოზის მიღებისას

მკურნალობამ არ უნდა მოახდინოს გავლენა პაციენტის ცხოვრების ხარისხზე და მუშაობაზე დარწმუნდით, რომ პაციენტმა იცის სად და ვისთან უნდა მივიდეს შემდგომი მკურნალობისთვის შეახსენეთ პაციენტს, რომ მოიყვანოს შესამოწმებლად ყველა, ვისთანაც ჰქონია მჭიდრო კონტაქტი აუხსენით, რომ მას აქვს უფლება დაგული იქნას მისი კონფიდენციალობა, პრივატულობა, მიიღოს ინფორმაცია საკუთარის დაავადების და მისი მკურნალობის შესახებ, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება. პაციენტი, თავის მხრივ, ვალდებულია მიაწოდოს სწორი ინფორმაცია სამედიცინო პერსონალს, ჩაიტაროს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობა და ეცადოს, არ დაინფიციროს სხვები.

მიმოხილვა: ჰკითხეთ ზემოთ ჩამოთვლილი კითხვები (დარწმუნდით, რომ პაციენტმა ყველაფერი სწორად გაიგო). თუ საჭიროა, მიაწოდეთ დამატებითი ინფორმაცია და/ან განუმარტეთ იგივე

პროცედურის თანმიმდევრობა:

1. გაიკეთეთ რესპირატორი (იხ. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების პროტოკოლი)
2. მოამზადეთ შესაბამისი დოკუმენტაცია
3. გადაამოწმეთ პაციენტის ვინაობა (გვარი, სახელი, ისტორიის #)
4. დაიცავით პაციენტის პრივატულობა/კონფიდენციალობა
5. მოიპოვეთ პაციენტის ნდობა, დაამყარეთ მასთან კომუნიკაცია
6. ჰკითხეთ რა იცის ტუბერკულოზის, მისი გავრცელების, გადაცემის გზების, მკურნალობის შესახებ
7. ეცადეთ დაუსვათ ღია კითხვები და მოთმინებით დაელოდეთ პასუხს
8. მისთვის გასაგებ ენაზე (სამედიცინო ტერმინების გარეშე) გააცანით საკუთარი დიაგნოზი, აუხსენით, როგორ გამოსავალს უნდა ელოდეს და რა იქნება მისი ჯანმრთელობისთვის საუკეთესო
9. აუხსენით პაციენტს, რომ აუცილებელია ანალიზის გაკეთება აივ ინფექციაზე (იხ. ტუბერკულოზის და აივ/შიდსის კო-ინფექციის პროტოკოლი)
10. თუ პაციენტს ოჯახში ჰყავს 5 წლამდე ასაკის ბავშვი და/ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი ახველებს, აუხსენით, რომ აუცილებელია მათი გამოკვლევა ტუბერკულოზზე
11. პირველი ვიზიტის ბოლოს აუცილებლად წახალისეთ პაციენტი, დასვას მისთვის საინტერესო კითხვები ტუბერკულოზის შესახებ და ამომწურავად უპასუხეთ მათ
12. გასაგებად აუხსენით ხანგრძლივი მკურნალობის ბოლომდე მიყვანის საჭიროება
13. დაიყოლიეთ ჩაიტაროს ტუბერკულოზის საწინააღმდეგო მკურნალობა
14. მარტივად აუხსენით, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მკურნალობის უგულვებელყოფას, ან მკურნალობის შეწყვეტას მისთვის და მისი ოჯახის წევრებისთვის
15. თუ პაციენტი, მიუხედავად ინფორმირებისა, უარს აცხადებს მკურნალობაზე ან წყვეტს მკურნალობას, მიიღეთ შესაბამისი ზომები, აცნობეთ მკურნალ ექიმს.
16. პაციენტთან ერთად განიხილეთ პრობლემა/მიზეზი, რომლის გამოც ის უარს ამბობს მკურნალობაზე ან წყვეტს მკურნალობას და მისი ინდივიდუალური ინტერესების გათვალისწინებით, აცნობეთ ექიმს
17. მოიხსენით რესპირატორი (იხ.ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენების (სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც მკურნალობენ და სამედიცინო შემოწმებას გადიან ტუბერკულოზით დაავადებული და/ან მასზე საექვო პაციენტები) პროტოკოლი)
18. მოამზადეთ პაციენტის პირადი ყუთი (პაკეტი) მედიკამენტებისთვის
19. შეავსეთ შესაბამისი დოკუმენტაცია
20. დაიბანეთ ხელები (იხ. ხელის ჰიგიენური წესით დაბანის პროტოკოლი)
21. პროცედურის მსვლელობის დროს შექმნილი ნებისმიერი პრობლემის შესახებ შეატყობინეთ ზემდგომ პერსონალს

წყარო:

Management of Tuberculosis Training for Health Facility Staff Second Edition. World health Organization 2010